



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.9222218

თარიღი:09/08/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კოდექსი 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" პუნქტის, „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი და 119-ე მუხლის მე-2 ნაწილის, " მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-5 მუხლისა და "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ" ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 აგვისტოს №გ-93.9322217001 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. პრივატიზებული იქნას უპირობოდ ელექტრონული აუქციონის ფორმით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, "ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 სექტემბრის №გ-93.93212465 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ" 2022 წლის 2022 წლის 05 აგვისტოს №გ-93.9322217001 განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული ქონება:

1. ჰერეთისკარის, 6309 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.19.60.281, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულებაა 12620 ლარი; ბე - 2000 ლარი; ბიჯი - 300 ლარი;
2. რაჭისუბნის 375 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.02.51.725, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულებაა 4500 ლარი; ბე - 1500 ლარი; ბიჯი - 150 ლარი;
3. გურჯაანის ყოფილი მიწებიდან 50350 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.19.57.099, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს - 100700 ლარს; ბე - 11000 ლარს; ბიჯი - 2000 ლარს.
4. ქალაქ ლაგოდეხში მდებარე, 443 კვ.მ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.01.55.412, რომლის საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 31010 ლარს; ბე - 4500 ლარს; ბიჯი - 1000 ლარს.
5. ფონის, 22037 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.11.52.506, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 44080 ლარს; ბე - 6000; ბიჯი - 1000 ლარს.
6. მაღალი გამავლობის ავტომანქანა - MITSUBISHI „PAJERO IO" სახ. NCC-253-CG გამოშვების

წელი 2007 წელი, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს - 11000 ლარს; ბე - 1200 ლარს; ბიჯი - 250 ლარს.

7. მაღალი გამავლობის ავტომანქანა - MITSUBISHI „PAJERO IO" სახ. NCC-254-CG გამოშვების წელი 2007 წელი, რომლის საწყისი, საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს - 10000 ლარს; ბე - 1100 ლარს; ბიჯი - 250 ლარს.

/საფუძველი: ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების“ უფროსის 2022 წლის 08 აგვისტოს N06-922222073 მოხსენებითი ბარათი/.

მუხლი 2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს „აუქციონატორს“, ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის „ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების“ უფროსს ლელა კურტანიძეს (პირადი: N25001017518).

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

